



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ინგლისური ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინგლისური ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი (Major)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

აკადემიური ხარისხის მისაღებად ბაკალავრიატის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი. საუნივერსიტეტო საგნებისა და ძირითადი სპეციალობის საგნების კრედიტთა ჯამი შეადგენს 180 კრედიტს. 60 კრედიტი კი სტუდენტმა უნდა დააგროვოს მის მიერ არჩეული მეორადი პროგრამის (minor) საშუალებით.

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები – 15 კრედიტი

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები – 20 კრედიტი

ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – 15 კრედიტი

პროგრამის სავალდებულო კურსები - 105 კრედიტი

პროგრამის არჩევითი კურსები – 15 კრედიტი

თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი

დამატებითი სპეციალობის დისციპლინები (MINOR) – 60 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ქვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების

ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია განუვითაროს ბაკალავრს ზოგადკუდმანიტარული აზროვნება, აღჭურვოს იგი საჭირო ფილოლოგიური კომპეტენციით, გამოუმუშაოს მას ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მისცეს საბაზისო ცოდნა ენის თეორიისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. პროგრამა, აგრეთვე, მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტი ინგლისურენოვანი სამყაროს უახლესი მახასიათებლების ცოდნით და განუვითაროს მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის უნარ-ჩვევები. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიურ და კულტურული განვითარების პრიორიტეტებს და აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებაზე დასაქმების არსებული ბაზრისათვის. ამავდროულად, მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და პიროვნული განვითარებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება მრავალმხრივი ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით. ბაკალავრს განუვითარდება ენის ფლობის შესაბამისი დონე, დაეუფლება ინგლისური ენის პროდუქტიული და რეცეპტული უნარების სპეციფიკას ფორმალური და არაფორმალური დისკურსისათვის; გაეცნობა ინგლისური ენის თეორიის საფუძველებს ინგლისური ენის ლექსიკოლოგიაში, თეორიულ გრამატიკასა და ენის ისტორიაში;

შეისწავლის ზოგადევეროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს. სწავლის პროცესში მას განუვითარდება ისტორიული და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნება, გაეცნობა ქართული, კლასიკური, ევროპული და ამერიკული ლიტერატურული ტექსტის კრიტიკულ ანალიზის საფუძველებსა და მეთოდებს;

ეცოდინება ფილოსოფიის, ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები; შეიძენს ზოგადფილოლოგიურ კომპეტენციას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ თანამედროვე ფილოლოგიური კვლევების გაცნობის ფონზე ინგლისური ფილოლოგიის შესწავლის შემდეგ ბაკალავრს ექნება უნარი გაერკვეს ლიტერატურულ-შემოქმედებითა და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებში. სტუდენტს ექნება ენის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. იგი შეძლებს დაამყაროს კომუნიკაცია ინგლისურენოვან საზოგადოებასთან ენის შესაბამისი რეგისტრის გათვალისწინებით, აწარმოოს მიმოწერა, მოისმინოს და გაიაზროს თანამედროვე ინგლისური მედია- საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია. ისტორიული, ესთეტიკური და ფილოსოფიური პრინციპების გათვალისწინებით სტუდენტს ექნება მშობლიური, ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის ეტაპების განვითარების და ლიტერატურის თეორიის პრობლემური საკითხების გაანალიზებისა და შეფასების უნარი.

დასკვნის გაკეთების უნარი:

ბაკალავრს შეეძლება ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემის შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი:

ბაკალავრი შეძლებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, იდეები და მოახდინოს ინფორმაციის გაცვლა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. იგი შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღოს საჭირო ინფორმაცია და გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს.

სწავლის უნარი:

სტუდენტს განუვითარდება სწავლის უნარი ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფში მუშაობის საფუძველზე. შეეძლება საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრული გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა შეისწავლოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაზისო საკითხები, გაიაზროს უახლესი ენობრივი ცვლილებები გრამატიკულ, ლექსიკურ, ფონოლოგიურ თუ ფუნქციურ დონეზე.

ღირებულებები:

ეროვნულ ღირებულებებზე აღზრდილი ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრი შეძლებს თავისუფლად წამოიწყოს კულტურული ურთიერთობა ინგლისურენოვან საზოგადოებასთან ინგლისური ენის მატარებელთა ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში მას შეეძლება აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.

საგანმანათლებლო პროგრამაში /ინგლისური ენა და ლიტერატურა/ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსთან

საგანი	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I	+	+		+	+	
უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II	+	+		+	+	
უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III	+	+		+	+	
შესავალი ფილოსოფიაში	+	+				+
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	+	+	+	+	+	+
შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	+	+	+		+	
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	+	+	+	+		
ენათმეცნიერების შესავალი	+	+	+	+		
ლიტმცოდნეობის შესავალი	+	+	+	+		
ზოგადი ენათმეცნიერება	+	+	+	+		
ინგლისური ენა 1	+	+		+	+	+
ინგლისური ენა 2	+	+		+	+	+
ინგლისური ენა 3	+	+		+	+	+
ინგლისური ენა 4	+	+	+	+	+	+

ინგლისური ენა 5	+	+	+	+	+	+
ინგლისური ენა 6	+	+	+	+	+	+
ინგლისური ენა 7	+	+	+	+	+	+
ლექსიკოლოგია	+	+	+			
თეორიული გრამატიკა	+	+	+	+	+	
ინგლისური ენის ისტორია	+	+	+	+	+	
XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია	+	+	+		+	
XIX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორია	+	+	+		+	
მხატვრული ტექსტის ანალიზი	+	+	+		+	
შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	+	+	+	+		+
XVII-XVIII ინგლისური ლიტერატურის ისტორია	+	+	+	+		+
XIX ს. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	+	+	+	+		+
XX ს. I ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	+	+	+	+		+
XX ს. II ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	+	+	+	+		+
XX საუკუნის ამერიკული რომანი (სპეც. კურსი)	+	+	+	+		+
ქვეყანათმცოდნეობა	+	+		+		+
შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	+	+	+	+		
XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	+	+			+	
მხატვრული ტექსტის კითხვა	+	+	+			
XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	+	+			+	

XX საუკუნის დასავლეთევროპული რომანი	+	+	+	+		+
ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა	+	+	+		+	
მეორე უცხო (გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1	+	+		+		
მეორე უცხო (გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2	+	+		+		
მეორე უცხო (გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 3	+	+		+		
ინფორმაციული ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+

დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურების დაწესებულებებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, კულტურის, მართვის, საგამომცემლო, დაწესებულებებში; საინფორმაციო საშუალებების, კულტურული ურთიერთობების, სოციალურ-ჰუმანიტარულ და ბიზნესის სფეროებში.

პროგრამის სტრუქტურა

კურსი	სკ	ლქ/პრ/დამ.	კრედიტების რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (15 კრედიტი)												
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1	5	0/75/50	5	5								
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2	5	0/75/50	5		5							
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 3	5	0/75/50	5			5						
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)												
შესავალი ფილოსოფიაში	3	30/15/80	5	5								

შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	4	30/30/65	5	5								
შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	3	30/15/80	5	5								
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	30/15/80	5	5								
ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – (15 კრედიტი)												
ენათმეცნიერების შესავალი	2,5	22/15.5/87,5	5		5							
ლიტმცოდნეობის შესავალი	2,5	22/15.5/87,5	5		5							
ზოგადი ენათმეცნიერება	3	30/15/80	5								5	
სავალდებულო კურსები – (105 კრედიტი)												
ინგლისური ენა 1	5	0/75/50	5		5							
ინგლისური ენა 2	3	0/45/80	5			5						
ინგლისური ენა 3	7	0/105/145	10				10					
ინგლისური ენა 4	7	0/105/145	10					10				
ინგლისური ენა 5	5	0/75/50	5						5			
ინგლისური ენა 6	5	0/75/50	5							5		
ინგლისური ენა 7	4	0/60/65	5								5	
ლექსიკოლოგია	2	22/8/95	5					5				
თეორიული გრამატიკა	2	22/8/95	5						5			
ინგლისური ენის ისტორია	2	22/8/95	5							5		

XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია	3	30/15/80	5		5							
XIX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორია	3	30/15/80	5			5						
მხატვრული ტექსტის ანალიზი	2	15/15/95	5						5			
შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5				5					
XVII-XVIII ს. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5					5				
XIX ს. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5						5			
XX ს. I ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5							5		
XX ს. II ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5								5	
XX ს. ამერიკული რომანი	3	15/30/80	5									5
არჩევითი კურსები (15 კრედიტი)												
არჩევითი კურსი - 1			5									
ქვეყანათმცოდნეობა	2	24/6/95			5							
შესავალი ინგლისურ	2	22/8/95			5							

ფილოლოგიაში												
XIX ს. ამერიკული ლიტერატურის ისტორია	2	15/15/95			5							
მეორე უცხო (გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1	5	0/75/50			5							
არჩევითი კურსი – 2			5									
მხატვრული ტექსტის კითხვა	2	0/30/95				5						
XX ს. ამერიკული ლიტერატურის ისტორია	2	15/15/95				5						
მეორე უცხო (გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2	5	0/75/50				5						
ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	0/45/80				5						
არჩევითი კურსი - 3			5									
XX საუკუნის დასავლეთევროპული რომანი	3	30/15/80					5					
ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა	3	33/12/80					5					
მეორე უცხო (გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 3	5	0/75/50					5					
თავისუფალი კრედიტები	3	30/15/80	10	5						5		
დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10	

სულ	240	30	30	30	30	30	30	30	30	
-----	-----	----	----	----	----	----	----	----	----	--

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში ლ/პ/დამ. - ლექცია/პრაქტიკული/ დამოუკიდებელი მუშაობა

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (B) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სწავლების მეთოდები

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდოლოგიის - ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდების - გამოყენებას სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულის თუ ზოგადად პროგრამის მიზნების განხორციელებას.

პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებაა ლექციებსა და პრაქტიკულებზე სტუდენტის მაქსიმალური აქტიურობის სტიმულირება, სწავლების პროცესში სტუდენტის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ამავდროულად ამ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურად მაღალ შედეგებს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის გამხორციელებას ინგლისური ენის დეპარტამენტი შეძლებს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით:

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსები: I, II, III;
- ინგლისური ენის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი აუდიტორიები 3315, 3316, 3213 და კომპიუტერული კლასი 3202;
- წიგნთა ფონდი რომელიც მდებარეობს ინგლისური ენის დეპარტამენტთან არსებულ მცირე ბიბლიოთეკაში და ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.

